სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080165523439223

№ 1825 19 / ივნისი / 2023 წ.

შპს „მეოხის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

ტენდერის ნომერი: NAT200016678;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „მეოხი“ (ს/ნ: 212804722);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 16 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2023 წლის 16 მარტის №4245/1 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2343), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მეოხის“ (ს/ნ: 212804722) მიერ NAT200016678 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 29 იანვრის № T-012901 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის vl.meokhi@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 17 მარტის № 1049 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2023 წლის 24 მარტს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 24 მარტის №01-29 განმარტება (რეგისტრაციის № 2639) მის მიერ NAT200016678 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 29 იანვრის №T-012901 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. „შპს „მეოხის“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 16 მაისის №1500 განკარგულებით, ერთი თვით გაგრძელდა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2023 წლის 16 მარტის №4245/1 წერილობითი შეტყობინების (რეგისტრაციის №2343) საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

1.5. 2023 წლის 31 მაისს, სააგენტოს 2023 წლის 8 მაისის № 1617 წერილის პასუხად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა 2023 წლის 31 მაისის №9398/1 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №4562) მიმწოდებლის მიერ NAT200016678 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 29 იანვრის № T-012901 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც მას დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა. ამასთან, ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებები შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან სახეზე არ ყოფილა, მიმწოდებელს ყველანაირად ეწყობოდა ხელი ვალდებულებების შესრულებაში, ხოლო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება გამოიწვია სამუშაოების წარმოების დაბალმა ტემპმა და ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკზე მუდმივმა ჩამორჩენამ. ამასთან, მიმწოდებელს ეთხოვა შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება, თუმცა, უშედეგოდ. დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ცვლილება, რასთან დაკავშირებითაც მიმწოდებელს წარსადგენი ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტები, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა ხორციელდებოდა დაგვიანებით და წარდგენილ დანართებში ხშირ შემთხვევაში ფიქსირდებოდა ხარვეზები, რასთან დაკავშირებითაც საჭირო იყო ხელახალი კორექტირებული დოკუმენტაციის წარდგენა. იმის მიუხედავად, რომ მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განიხილა მისი მოთხოვნები სახელშეკრულებო ვადების გაზრდასთან დაკავშირებით, რის შესაბამისადაც, არაერთხელ გაიზარდა სახელშეკრულებო ვადები, თუმცა, უშედეგოდ. შემსყიდველი ორგანიზაციის მითითებით, იმის მიუხედავად, რომ სამშენებლო სამუშაოები იყო დამამთავრებელ ფაზაში, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენდა მხოლოდ დარჩენილი შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობა. შემსყიდველი ორგანიზაციის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად მიმწოდებელმა ვერ გამოასწორა შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზები და მან ნაკისრი ვალდებულების მიმართ არაკეთილსინდისიერი და გულგრილი დამოკიდებულებით ვერ უზრუნველყო სამშენებლო მოედანზე შესაბამისი პერსონალის მობილიზება სამუშაო ტემპის გაზრდისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტებების თანახმად, სახეზე იყო ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი არაერთი გარემოება. მიმწოდებლის მითითებით, მან მყისიერად დაიწყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუმცა საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ადგილი, სადაც ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული იყო რეზერვუარის, საქლორატორის, სადარაჯო ჯიხურისა და ჭაბურღილის მოწყობა, წარმოადგენდა სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებას, რის გამოც მიმწოდებელს არ მიეცა შესაძლებლობა ტექნიკური დავალების შესაბამისად ეწარმოებინა საპროექტო სამუშაოები, ვიდრე არ გამოიძებნა ალტერნატიული ადგილი და არ განხორციელდა მისი რეგისტრაცია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელზე. აღნიშნულმა, თავის მხრივ, დააგვიანა ობიექტზე ელ. ენერგიის შეყვანაც. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ იგი შემსყიდველი ორგანიზაციისგან დაგვიანებით იღებდა პასუხს პროექტში არსებულ შენიშვნებთან დაკავშირებით, ხოლო საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაგვიანებით გაფორმდა. მიმწოდებლის მითითებით, ხსენებული ფაქტობრივი გარემოებები შემსყიდველმა ორგანიზაციამ ძირითადად არ გაითვალისწინა და მხოლოდ 30 დღით გაზარდა საპროექტო სამუშაოების ვადა, ხოლო საჯარიმო სანქციები მიმწოდებელს სრულად დაეკისრა. მიმწოდებლის მითითებით, საპროექტო სამუშაოების გაჭიანურებამ გავლენა იქონია სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადებზეც, თუმცა სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა არ გაზრდილა. მიმწოდებლის მითითებით, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ადგილის ცვლილებამ გამოიწვია არაერთი პრობლემა და მიმწოდებელზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრება, კერძოდ, ალტერნატიული ადგილის ფართობი შეადგენდა 197 კვ.მ-ს, სადაც შეუძლებელი იყო სადაწნეო კოშკის/ რეზერვუარის, საქლორატოროს, სადარაჯო ჯიხურისა და ჭაბურღილის მოწყობა, რის შესაბამისადაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების რკინაბეტონის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებით შეცვლაზე, რასაც ჭირდებოდა ბევრად მეტი დრო, ვიდრე საჭირო იქნებოდა სადაწნეო კოშკის მოსაწყობად. ამასთან, ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ადგილზე უნდა მოწყობილიყო საქლორატორო არსებულ შენობაში, ხოლო ალტერნატიულ ადგილზე საჭირო გახდა ახალი შენობის აშენება, ისევე, როგორც ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ადგილზე არ იყო საჭირო ელ. ენერგიის ობიექტამდე მიყვანა, ხოლო ალტერნატიულ ადგილზე საჭირო გახდა ელ. ენერგიის მიყვანა და ახალ აბონენტად დარეგისტრირება. მიმწოდებლის მითითებით, ხსენებულმა გარემოებებმა, ერთი მხრივ, შეაფერხა ვალდებულებების შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, გაზარდა გასაწევი ხარჯები. მიმწოდებლის მითითებით, ასევე შეფერხდა სამშენებლო სამუშაოებიც, კერძოდ, მიმწოდებელმა დაგვიანებით მიიღო სამშენებლო და სხვა ნებართვები სხვადასხვა კომპანიებისგან, რის გამოც მიმწოდებელი იძულებული იყო ნელი ტემპით ეწარმოებინა სამუშაოები. მიმწოდებლის მითითებით, ვალდებულებების შესრულება ასევე შეაფერხა კორონა ვირუსმა და უამინდობამ, რის გამოც მიმწოდებელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა სამუშაოების წარმოება. მიმწოდებლის მითითებით, სამუშაოების შესრულება ასევე შეაფერხა ალტერნატიული ადგილის ფართობმა, კერძოდ, ადგილის სივიწროვის გამო ვერ ხერხდებოდა ობიექტზე სხვადასხვა სამუშაოს ერთდროულად შესრულება, კერძოდ, ვიდრე არ დასრულდებოდა ერთი ნაგებობის აშენება, შეუძლებელი იყო მეორე ნაგებობის აშენების დაწყება. მიმწოდებელმა არაერთხელ მოითხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდა და საჯარიმო სანქციების შეჩერება, თუმცა, უშედეგოდ.

საბოლოოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა არა მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი პერიოდით, არამედ 2023 წლის 14 იანვრის ჩათვლით, ხოლო აღნიშნული პერიოდი ემთხვეოდა საახალწლო პერიოდს და 2022 წლის 30 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრამდე ფიზიკურად ვერ მოხერხდა სამშენებლო ობიექტზე თანამშრომლების მობილიზება, რასაც ასევე დაემატა დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქარიც. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საჭიროებდა კორექტირებას, რასთან დაკავშირებითაც მიმწოდებელმა დააყენა საკითხი, რომ სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ეკონომიისა და ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე შესაძლებელი იყო სამშენებლო არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილისთვის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, რასთან დაკავშირებითაც 2022 წლის 30 სექტემბერს მიმწოდებელს გაეგზავნა იმ აბონენტების გეგმა, რომლებიც პრიორიტეტული იყო შემსყიდველი ორგანიზაციისთვის და მიმწოდებელს დაევალა კონკრეტული მოცულობებისა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საპროექტო ორგანიზაციამ უარი განუცხადა მიმწოდებელს პროექტში ცვლილებაზე, რის გამოც მიმწოდებელს მოუწია სხვა საპროექტო ორგანიზაციის მოძიება, რაც გაიწელა დროში და შესაბამისად, კორექტირებული მოცულობები, ხარჯთაღრიცხვა და ექსპერტიზის დასკვნა 2022 წლის 23 დეკემბერს წარედგინა შემსყიდველ ორგანიზაციას, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებაში ცვლილება არ შეუტანია. მიმწოდებლის მითითებით, აღნიშნულმა პროცესმა ასევე გავლენა იქონია სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადაზე და გამოიწვია დამატებითი ხარჯები. მიმწოდებელმა ასევე მითითა, რომ პროექტირების პროცესში განხორციელებული ცვლილების შედეგად, მიმწოდებლის მიერ შეძენილი მასალების ნაწილის გამოყენება საერთოდ აღარ გახდა საჭირო, რამაც მიმწოდებელი ჩააგდო რთულ ფინანსურ მდგომარეობაში. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა საწვავისა და სამშენებლო მასალების ფასების გაორმაგებაზე, რამაც ასევე შეაფერხა ვალდებულებების შესრულება. მიმწოდებლის მითითებით, დარჩენილი იყო შესასრულებელი სამუშაოების 5-7%, რის გამოც, გასაკვირი იყო, თუ რატომ აღარ განახორციელა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის კორექტირება იმ ვითარებაში, როდესაც თითქმის დასრულებული იყო სამუშაოები.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 29 იანვარს, NAT200016678 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ და შპს „მეოხმა“ (ს/ნ: 212804722) გააფორმეს № T-012901 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები გეგმა-გრაფიკის მიხედვით (საკვლევ-საძიებო სამუშაოები და დეტალური პროექტის მომზადება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში, ხოლო სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 7 თვის ვადაში). ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 984 884,81 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 29 მარტი.

4.2. მიმწოდებლის 2021 წლის 11 ივნისის და 28 ივლისის № 01-91 და № 01-104 წერილებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ ვალდებულებების შესრულება შეფერხდა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რის გამოც, ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა საპროექტო მომსახურების გაწევის ვადის გაზრდა 30 კალენდარული დღით.

4.3. მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 20 აგვისტოს ურთიერთშეთანხმების აქტით, დაკორექტირდა ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკი, საპროექტო მომსახურების გაწევის ვადა გახანგრძლივდა 2021 წლის 29 ივლისის ჩათვლით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 28 თებერვალი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 30 აპრილი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 25 იანვრის ურთიერთშეთანხმების აქტით, დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა და ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

4.5. მიმწოდებლის 2022 წლის 11 თებერვლის № 01-14 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ ვალდებულებების შესრულება შეფერხდა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რის გამოც, ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა 3 თვით.

4.6. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 14 აპრილის № 4 ურთიერთშეთანხმების აქტით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 ივლისი.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 2 ივნისის №8810/1 წერილის მიხედვით, სამუშაოების ტემპი იყო ძალიან დაბალი და არსებობდა რისკი, რომ სამუშაოები ვერ დასრულდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა შესაბამისი ზომების მიღება ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულების მიზნით.

4.8. მიმწოდებლის 2022 წლის 15 ივლისის № 01-134 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ ვალდებულებების შესრულება შეფერხდა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით (უამინდობით, ობიექტზე ინერტული მასალის შეტანის გართულებით გამოწვეული შეზღუდვის გამო), რის გამოც, ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

4.9. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 19 ივლისის № 5 ურთიერთშეთანხმების აქტით, დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა და ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

4.10. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 22 ივლისის № 6 ურთიერთშეთანხმების აქტით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 სექტემბერი.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 აგვისტოს №13385/1 წერილის მიხედვით, სამუშაოების ტემპი იყო ძალიან დაბალი, ასევე რამდენჯერმე დაფიქსირდა სამუშაოების წარმოების შეჩერება და არსებობდა რისკი, რომ სამუშაოები ვერ დასრულდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა შესაბამისი ზომების მიღება ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულების მიზნით, სამუშაოების მაღალი ტემპით განახლება და მიეცა გაფრთხილება.

4.12. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლის 2022 წლის 22 აგვისტოს დათვალიერების აქტის მიხედვით, 2022 წლის 20 აგვისტოს სატუმბისა და რეზერვუარის კედლების ჩასხმის შემდეგ სამუშაოები შეჩერებული იყო და ასევე განახლებული არ იყო მუშაობა ქსელზე.

4.13. მიმწოდებლის 2022 წლის 26 სექტემბრის №01-167 წერილით, უხვი ნალექით გამოწვეული შეფერხების, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ალტერნატიული ტერიტორიის სივიწროვის გამო ობიექტზე სხვადასხვა სამუშაოს ერთად შესრულება ვერ ხერხდებოდა, ხოლო ახალი აბონენტებისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა მოითხოვდა დამატებით დროს, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

4.14. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 30 სექტემბრის № 7 ურთიერთშეთანხმების აქტით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 ნოემბერი.

4.15. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 3 ოქტომბრის № 16768/1 წერილის მიხედვით, სამუშაოების ტემპთან დაკავშირებით არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, 2022 წლის 26 სექტემბრიდან, გაურკვეველი მიზეზებიდან გამომდინარე, სამუშაოების წარმოება შეჩერებული იყო. ამასთან, ტრანშეა ღიად იყო დატოვებული და არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. ამავე წერილით, მიმწოდებელს კატეგორიულად ეთხოვა სამუშაოების მაღალი ტემპით განახლება 5 კალენდარული დღის ვადაში და მიეცა გაფრთხილება.

4.16. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლის 2022 წლის 25 ნოემბრის დათვალიერების აქტის მიხედვით, ქსელის სამუშაოების ტემპი იყო ძალიან დაბალი, რაც გამოწვეული იყო რიგ შემთხვევებში ტექნიკის გაფუჭებით და რიგ შემთხვევაში მუშა პერსონალის ადგილზე არყოფნით.

4.17. მიმწოდებლის 2022 წლის 28 ნოემბრის №01-206 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ, გარკვეული მიზეზების გამო, მიმწოდებელმა ვერ დაასრულა სამუშაოები. ამავე წერილის მიხედვით, გარკვეული შეფერხებები იყო საქლორატოროს ტექნოლოგიური ნაწილის მშენებლობის კუთხით, რადგან გაპრობლემდა საჭირო მასალების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანა. მიმწოდებლის მითითებით, სამუშაოების წარმოების დაბალი ტემპი გამოიწვია ფაქტმა, რომ ადგილის სივიწროვის გამო ვერ ხერხდებოდა სხვადასხვა სამუშაოების ერთობლივად შესრულება, ხოლო 2022 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში სამუშაოების წარმოება შეაფერხა უხვმა ნალექმა. ამავე წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის სამუშაოებს ემატებოდა ახალი აბონენტებისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (შემსყიდველი ორგანიზაციის თხოვნით), ხოლო სამუშაოებს ესაჭიროებოდა დამატებითი დრო. ამასთან, სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარსადგენი ჰქონდა შესრულებითი ნახაზების საბოლოო ელექტრონული ვერსია და ექსპერტიზის დასკვნა, რასაც ასევე ესაჭიროებოდა დამატებითი დრო. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

4.18. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 30 ნოემბრის № 8 ურთიერთშეთანხმების აქტით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 14 იანვარი.

4.19. 2022 წლის 1 დეკემბრის ობიექტზე არსებული დეფექტების შემოწმების აქტის მიხედვით, შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, დამონტაჟებული მრიცხველის კვანძის პლასტმასის ყუთი არ იყო ნახაზთან შესაბამისობაში, ტრანშეები იყო ღია და არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები და სხვა.

4.20. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლების 2022 წლის 6 დეკემბრის დათვალიერების აქტის მიხედვით, ხარვეზები არ იყო გამოსწორებული, ქსელზე მიმდინარე სამუშაოების ტემპი იყო ძალიან დაბალი, ადგილზე არ იმყოფებოდა პასუხისმგებელი პირი და ადგილზე არ იყო საჭირო რაოდენობის ინერტული მასალა.

4.21. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 7 დეკემბრის №16768/1 წერილის მიხედვით, დამონტაჟებული მრიცხველის კვანძის პლასტმასის ყუთები არ იყო ნახაზთან შესაბამისობაში, სანიაღვრე არხებთან

მომხმარებლის სააბონენტო მილის მონტაჟი არ იყო ნახაზის მიხედვით განხორციელებული, გარკვეულ მონაკვეთებზე ტრანშეები იყო ღია და არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები, სამუშაოები მიმდინარეობდა ნელი ტემპით და ასევე ობიექტზე არ იმყოფებოდა პასუხისმგებელი პირი. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა ხარვეზების გამოსწორება.

4.22. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 13 დეკემბრის №21176/1 წერილის მიხედვით, ხარვეზები არ იყო გამოსწორებული, ასევე ობიექტზე არ იყო საჭირო რაოდენობის ინერტული მასალა, რის გამოც ქსელზე მიმდინარე სამუშაოები შეჩერებული იყო. ამავე წერილით, მიმწოდებელს კვლავ ეთხოვა ხარვეზების გამოსწორება.

4.23. მიმწოდებლის 2023 წლის 10 იანვრის № 01-06 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ სამუშაოების გარკვეული ნაწილი დასრულებული იყო. ამასთან, წერილის მიხედვით, საქლორატოროს ნაწილის მშენებლობის კუთხით იყო გარკვეული შეფერხებები, რაც გამოწვეული იყო საჭირო მასალის ქვეყანაში შემოტანის პრობლემით, რის გამოც სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა დაბალი ტემპით. ამავე წერილის მიხედვით, ხსენებული პრობლემა უკვე აღმოფხვრილი იყო და დაწყებული იყო საქლორატოროს მოწყობის სამუშაოები, რაც უახლოეს დღეებში დასრულდებოდა. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარდგენილი ჰქონდა ხარჯთაღრიცხვაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებული იყო ახალი აბონენტებისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებთან, თუმცა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა ვერ მოხერხდა სადღესასწაულო/უქმე დღეების გამო. მიმწოდებლის მითითებით, სამუშაოების შესრულების შეფერხება გამოიწვია სადღესასწაულო დღეებმა და უხვმა ნალექმა. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2023 წლის 14 მარტის ჩათვლით გაზრდა.

4.24. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 11 იანვრის № 486/1 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ, სახელშეკრულებო ვადების არაერთხელ ცვლილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ მოახერხა სამშენებლო სამუშაოების სრულად დასრულება, რადგან ობიექტზე სამუშაოები მიმდინარეობდა ძალიან დაბალი ტემპით. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელს 2022 წლის 30 სექტემბერს დაევალა დამატებით 900 მეტრამდე ქსელის მოწყობის სამუშაოების წარმოება, რასთან დაკავშირებითაც მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ცვლილებათა უწყისი არ წარუდგენია 2022 წლის 12 დეკემბრამდე. წერილის მიხედვით, 2022 წლის 25 ნოემბერს, ასევე 1 და 6 დეკემბერს შედგა ობიექტის დათვალიერების აქტები და მიმწოდებელს არსებული ხარვეზების თაობაზე ეცნობა 2022 წლის 7 და 13 დეკემბერს, ისევე, როგორც მიმწოდებელს არაერთხელ ეთხოვა სამუშაოების ტემპის გაზრდა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, 2023 წლის 11 იანვრის მდგომარეობით სამუშაოები საერთოდ შეჩერებული იყო. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებელს უარი ეთქვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

4.25. მიმწოდებლის 2023 წლის 12 იანვრის №01-08 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ სახეზე იყო ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი არაერთი გარემოება, კერძოდ, საპროექტო მომსახურების გაწევა შეაფერხა ფაქტმა, რომ ტერიტორია, სადაც უნდა მოწყობილიყო საქლორატორო, რეზერვუარი, სადარაჯო ჯიხური და ჭაბურღილი, არ იყო შემსყიდველი ორგანიზაციის საკუთრებაში, ხოლო ალტერნატიული ტერიტორიის მოძიებას, შემსყიდველი ორგანიზაციის სახელზე დარეგისტრირებას და ტერიტორიაზე ელექტრო ენერგიის შეყვანას დასჭირდა გარკვეული დრო, რის გათვალისწინებითაც, მიმწოდებელმა მოითხოვა, რომ მასზე არ გავრცელებულიყო საჯარიმო სანქციები, თუმცა, უშედეგოდ. ამასთან, საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილები მიმწოდებელს, რიგ შემთხვევებში, გვიან ეგზავნებოდა. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ მან გვიან მიიღო სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ნებართვები. ამასთან, მიმწოდებლის მითითებით, სამშენებლო სამუშაოები ასევე შეაფერხა მიმწოდებლის თანამშრომლების კორონა ვირუსით ინფიცირებამ და უხვმა ნალექმა, რის გამოც ვერ ხორციელდებოდა სამუშაოები და მომწოდებელი კომპანიები მიმწოდებელს ვერ აწვდიდნენ ინერტულ მასალას. მიმწოდებლის მითითებით, ალტერნატიული ტერიტორია, სადაც ეწყობოდა ჭაბურღილი, რეზერვუარი, საქლორატორო და სადარაჯო ოთახი, იყო ვიწრო, რის გამოც სხვადასხვა სამუშაოს ერთობლივად წარმოება ვერ ხერხდებოდა. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრამდე, სადღესასწაულო დღეების გათვალისწინებით, ობიექტზე ვერ მოხერხდა თანამშრომელთა მობილიზება, ხოლო 2023 წლის 9 იანვრის შემდეგ ძლიერი ქარის გამო წარმოქმნილი იყო ფორსმაჟორული ვითარება, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სამუშაოების გაგრძელება. ამდენად, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ვალდებულებების შესრულება უმრავლეს შემთხვევაში შეფერხდა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რის გამოც მიმწოდებელმა კვლავ მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2023 წლის 14 მარტის ჩათვლით.

4.26. 2023 წლის 14 იანვრის ობიექტზე არსებული დეფექტების შემოწმების აქტის მიხედვით, შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით კვლავ გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ, არ იყო დასრულებული წყალმომარაგების გარე ქსელის მოწყობის სამუშაოები, საქლორატორო შენობაში არ იყო დასრულებული ტექნოლოგიური ნაწილი, ისევე, როგორც დაუსრულებელი იყო წყალმომარაგების და წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები, საშიბერო კამერაში არ იყო დამონტაჟებული ტუმბო აგრეგატები და სხვა.

4.27. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მოადგილის 2023 წლის 30 იანვრის №1-10211 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, მიმწოდებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკს და სამუშაოების ტემპი იყო ძალიან დაბალი, ხოლო 2023 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, შესრულებული იყო შესასრულებელი სამუშაოების 87%. ამასთან, შესრულებულ

სამუშაოებთან დაკავშირებით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც ეთხოვა მიმწოდებელს, თუმცა, უშედეგოდ.

4.28. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 16 მარტის №4244/1 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

4.29. 2022 წლის 22 დეკემბრის შესრულებული სამუშაოების № 2-9 აქტის მიხედვით, შესრულდა 857 241,54 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 87%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მეოხს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი გარკვეული შეფერხებების (მათ შორის, ალტერნატიული ტერიტორიის გამოყოფისა და ტერიტორიაზე ელექტრო ენერგიის შეყვანის აუცილებლობა, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების გაჭიანურება) გათვალისწინებით, მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 20 აგვისტოს ურთიერთშეთანხმების აქტით, დაკორექტირდა ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკი, საპროექტო მომსახურების გაწევის ვადა გახანგრძლივდა 2021 წლის 29 ივლისის ჩათვლით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 28 თებერვალი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 30 აპრილი. მეტიც, აღნიშნულის შემდეგ, არაერთხელ გაიზარდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ასევე არაერთხელ დაკორექტირდა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის მითითებაზე პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მოცემული საკითხი განეკუთვნება სახელშეკრულებო დავის საგანს და უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმების ან სასამართლოსთვის მიმართვის გზით. რაც შეეხება უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესს, მიმწოდებელი, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ ალტერნატიული ადგილის გამოყოფამ შეაფერხა სამუშაოების შესრულება (ადგილის სივიწროვის, ასევე დამატებითი სამუშაოების შესრულებისა და ტერიტორიაზე ელექტრო ენერგიის მიყვანის აუცილებლობის გამო), ისევე, როგორც ვალდებულებების შესრულება დროში გაიწელა სამუშაოების საწარმოებლად აუცილებელი შესაბამისი ნებართვების გვიან მიღების, კორონა ვირუსის, უამინდობის და სხვა მიზეზების გამო, თუმცა, მეორე მხრივ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, მიმწოდებელი არათუ ნელი ტემპით აწარმოებდა სამუშაოებს, არამედ, რიგ შემთხვევებში, სამუშაოების წარმოება საერთოდ შეჩერებული იყო, ხოლო სამუშაოების ნაწილი შესრულებული იყო ხარვეზებით. ამასთან, ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების გათვალისწინებით, იმის მიუხედავად, რომ სახელშეკრულებო ვადები მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტებით არაერთხელ გაიზარდა, მიმწოდებელი, ერთი მხრივ, ითხოვდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის კვლავ გაზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, მას რეაგირება არ მოუხდენია მის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოვლენილ ხარვეზებზე, რომელთა გამოსწორებაც მიმწოდებელს არაერთხელ ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ხოლო, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სამუშაოების ნელი ტემპით შესრულება რიგ

შემთხვევებში გამოწვეული იყო ტექნიკის გაფუჭებით, მუშა პერსონალის ადგილზე არყოფნით და სხვა მიზეზებით (მაგ. მიმწოდებელი 2023 წლის 10 იანვრის №01-06 წერილში მიუთითებს, რომ საქლორატოროს ნაწილის მშენებლობის კუთხით იყო გარკვეული შეფერხებები, რაც გამოწვეული იყო საჭირო მასალის ქვეყანაში შემოტანის პრობლემით, რის გამოც სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა დაბალი ტემპით). რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას სადღესასწაულო პერიოდში პერსონალის ვერმობილიზებასთან, ასევე რთულ ფინანსურ მდგომარეობასთან და საწვავისა და სამშენებლო მასალების ფასების ზრდასთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტები ვერ შეფასდება მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ან შემამსუბუქებელ გარემოებებად. ამდენად, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ ვალდებულებები არაჯეროვნად სრულდებოდა. შესაბამისად, მოცემული მსჯელობისა და საქმეში არსებული გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 87%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „მეოხის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მეოხს“ (ს/ნ: 212804722) 2023 წლის 20 ივნისს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი